პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

№ 2 (2097) შაბათი, 11 იანვარი, 1986 წელი. ● ფასი 2 კაპ.

## წინასაყრილობო ვახტზე

ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით საქართველოს სსრ მშრომელებმა ვადამდე წარმატებით შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის ვალდებულებანი, რომელთა შესახებაც ისინი პარტიასა და მთავრობას უპატაკებენ, ჯერ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, შემდეგ კი სკკპ XXVII ყრილობას.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად წინასაყრილობო ვახტზე დგანან შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები, რომლებმაც ერთსულოვნად გადაწყვიტეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილ შაბათობაში.

# ხანძრისათვის—სისხლის სამართლის პასუხისგებაში

ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე დიდი ხანძარი მოხდა. ცეცხლს ებრძოდნენ სოხუმის სასტუმრო „აფხაზეთში" და ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატის თამბაქოს ფოთლის საწყობში, ლანჩხუთის ნავთობბაზასა და ადიგენის კურორტვაჭრობის სამრეწველო საქონლის საწყობში, წითელწყაროს რაიკოოპერატივის კულტსაქონლის მაღაზიაში, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ფილიალში მარჯანიშვილის ქუჩაზე და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ცხინვალის მექანიკურ ქარხანაში.

ხანძარი მუდამ უბედურებაა. ცეცხლი ანადგურებს დიდ მატერიალურ ფასეულობებს, მწყობრიდან გამოჰყავს შენობები და ნაგებობანი, ძვირად ღირებული მოწყობილობა, იღუპებიან ადამიანები, და ყოველთვის მომხდარის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ხანძრის გაჩენა საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობის, იმ დანაშაულებრივად დაუდევარი დამოკიდებულების პირდაპირი შედეგია, რომელსაც ისინი იჩენენ მათთვის მინდობილი ობიექტების სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფისადმი.

ამას ადასტურებს ჩამოთვლილი ხანძრების გაჩენის მიზეზებიც. სოხუმში სასტუმრო „აფხაზეთის" რესტორნის მუშაკებმა სამზარეულო ბლოკის მოწყობილობის ექსპლოატაციისას მთლიანად უგულებელყვეს სახხანძარმეთვალყურეობის მოთხოვნები, რამაც გამოიწვია კიდეც ხანძრის გაჩენა. სასტუმროს შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობაში სერიოზულმა ნაკლოვანებებმა. კერძოდ, დერეფნების და სხვა სათავსების კედლების და ჭერის მოსაპირკეთებლად სწრაფად წვადი მასალების გამოყენებამ ცეცხლს საშუალება მისცა სწრაფად მოსდებოდა ოთხივე სართულს.

სახანძრო უშიშროების წესებს არ იცავდნენ ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატის თამბაქოს ფოთლის საწყობში. სახანძრო წყალსატევის მშენებლობისა და ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის მოწყობის შესახებ სახხანძარმეთვალყურეობის ორგანოთა მოთხოვნებზე აქ რეაგირება არ მოუხდენიათ. გარდა ამისა, კომბინატის სამსართულიან შენობას მიაშენეს უპროექტო ნაგებობანი, რაც ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების უხეში დარღვევით მოხდა. კომბინატის ხელმძღვანელობამ სრული უპასუხისმგებლობა და, პირდაპირ ვთქვათ დანაშაულებრივი დაუდევრობა გამოიჩინა ათ მილიონობით მანეთის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვის საკითხებში: საწყობის ტერიტორიას არ ჰქონდა საიმედო ღობე, შენობები არ იყო დაცული ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციით.

თავად ობიექტის სახელწოდება — „ნავთობბაზა" — გაზრდილი სახანძრო საშიშროების ასოციაციას იწვევს და მართლაც, უმცირესი გაუფრთხილებლობა, ბენზინის ტრანსპორტირებისა და ჩამოსხმისას უსაფრთხოების მოთხოვნების

შ. გორგოძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი.

უმნიშვნელო დარღვევა უთუოდ იწვევს ხანძარსა და აფეთქებას. ამას მოწმობს ხანძარი ლანჩხუთის ნავთობბაზაში, რომლის ხელმძღვანელებმა დაუშვეს სახანძრო უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევები ტექნოლოგიური კომუნიკაციებისა და მოწყობილობის ექსპლოატაციის დროს, რომელიც საწვავით ავტოცისტერნების ავსებისას გამოიყენება. ამის შედეგად ერთ-ერთი ბენზინმზიდის მომსახურებისას აალდა ბენზინის ორთქლი და მხოლოდ მეხანძრეთა თავდადების შედეგად ცეცხლით განადგურებას გადაურჩა ნავთობბაზის მთელი სარეზერვუარო პარკი. უაღრესად რთულ და საშიშ პირობებში მოქმედებისას გმირობა და მამაცობა გამოიჩინა ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სახხანძარმეთვალყურეობის ინსპექციის უფროსმა ინსპექტორმა, შინაგანი სამსახურის ლეიტენანტმა ზ. თავართქილაძემ. ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი მამაცობისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ იგი დასაჯილდოებლად წარადგინა. ხანძრის ჩაქრობისას აქტიურად მოქმედებდნენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის აქტივი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრაქტიკაში ხშირია ცალკეულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის შემთხვევები საანგარიშო პერიოდის — თვის, კვარტლის, წელიწადის დამლევს. ზოგჯერ ხანძარი სწორედ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო აღწერის დამლევისათვის ჩნდება ხოლმე საამქროებსა და საწყობებში და ხშირად დასტურდება, რომ მისი გაჩენის მიზეზია ცეცხლის განზრახ წაკიდება დანაშაულის კვალის დასაფარავად. ზოგიერთ საწარმოში მოქმედი საქმოსნები და კომბინატორები ცდილობენ ამგვარად ჩამოწერონ მიტაცებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი და თავი აარიდონ პასუხისმგებლობას. ეს, რა თქმა უნდა, მოწმობს შინაგან საქმეთა ცალკეული საქალაქო და რაიონული ორგანოების სუსტ მუშაობას. მილიციის, კერძოდ, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის მუშაკებმა ხომ ასეთი ფაქტების თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაუწესონ ობიექტებს, სადაც საინვენტარიზაციო აღწერა და რევიზიები მიმდინარეობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა გადიდებულ მოთხოვნებს წაუყენებს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის მუშაკებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ანგარიშითი მიზნით ხანძრის გაჩენის თავიდან აცილებას. ანალოგიურად ამ პერიოდში ხანძრის გაჩენისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ იმათ, ვინც აწყობს საუწყებო რევიზიებს.

სხვა ვერაფრად მივიჩნევთ, თუ არა დანაშაულად გაუმართავი ელექტროგაყვანილობისა და ელექტროგამთბობი ხელსაწყოების გამოყენებას დიდი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონცენტრაციის ადგილებში. მაგალითად, გაშიშვლებული ელექტროსადენი გახდა ხანძრის მიზეზი წითელწყაროს რაიკოოპერატივის კულტსაქონლის მაღაზიაში და ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატში თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საკითხებში ხშირად სცოდავენ თავად სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის მუშაკები, რომლებიც ადგენენ შესაბამის აქტებს, აჯარიმებენ დამრღვევებს და... ამით ამთავრებენ საქმეს არადა, განგაში უნდა ატყდეს მანამ, სანამ სახანძრო მანქანების გამოძახება გახდება საჭირო. ისინი ბოლომდე კეთილსინდისიერად და პრინციპულად უნდა ასრულებდნენ თავიანთ სამსახურეობრივ მოვალეობას, ამასთან საკითხს აღძრავდნენ შესაბამისი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანოების ხელმძღვანელების წინაშე, აღწევდნენ გამოვლენილი დარღვევების კონკრეტულ აღმოფხვრას.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის სამსახურს. ხანძრის არც ერთი შემთხვევა არ რჩება სამინისტროს ხელმძღვანელობის ყურადღების გარეშე, ეწყობა სასამსახურო გამოძიება, რომელიც არკვევს ამ სამსახურის მუშაკთა როლს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულებაში. და თუ გამოვლინდა, რომ მუშაკი იჩენს უპრინციპობას, არ არის მომთხოვნი, ვერ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს, მის მუშაობას არადამაკმაყოფილებლად ცნობენ და გამოაქვთ შესაბამისი დასკვნები. მაგალითად, ბათუმის თამბაქოს ფოთლის საწყობში ხანძრის საკითხი განიხილეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე. მინისტრის ბრძანებით მკაცრად დაისაჯნენ აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახანძრო დაცვის ხელმძღვანელი მუშაკები.

უნდა შევახსენოთ, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში არის 246-ე მუხლი „სახანძრო დაცვის წესების დარღვევა", რომელშიც ნათქვამია: „სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის მოთხოვნათა შეუსრულებლობა, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევა, რომელიც ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში დღიდან ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადებისა, — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე. იგივე ქმედობა, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე".

სამწუხაროდ, სახელმწიფო სა-

(დასასრული მე-2 გვ.).

НАВСТРЕЧУ XXVII СЪЕЗДУ КПСС

## РАПОРТУЮТ

Учреждение, где начальником Гугунава, план выпуска промышленной продукции за декабрь месяц выполнило досрочно к 30 декабря, годовой план выполнен к 17 декабря. Досрочно выполнен также план реализации товарной продукции, товаров культбыта

## НАША СИЛА – В СВЯЗИ С МАССАМИ



Более ста организаций Кировского района города Тбилиси направляют своих служащих в ДНД, чтобы общими усилиями поддержать образцовый порядок в районе. Наибольшую активность в этом важном деле проявляют сотрудники НИИ почвоведения, агрохимии и мелиорации АН ГССР. Многие правонарушения пресекаются вместе с дружинниками. Вместе с сотрудниками Кировского РОВД г. Тбилиси они бдительно несут службу на улицах родного города.

НА СНИМКЕ: заместитель начальника Кировского РОВД г. Тбилиси подполковник милиции Д. Канкия проводит инструктаж с дружинниками.

Фото С. Сычева.

## «ДРУЖИННИК»

Редакция газеты «Боевой страж» в Новом году продолжает публикации тематических полос. Тематические полосы будут посвящены работникам уголовного розыска, следствия, БХСС, пожарной охраны, вневедомственной охраны.

Учитывая многочисленные пожелания читателей, полосы будут выходить на одном языке: грузинском или русском.

Сегодня на 3-й полосе нашей газеты мы публикуем тематическую полосу «Дружинник», посвященную взаимодействию работников органов внутренних дел с общественными формированиями.

Редакция надеется на активную помощь читателей.

Мы ждем от вас советов, предложений, статей, очерков, касающихся деятельности органов внутренних дел.

# ნაკლოვანებათა გათვალისწინებით

**როდესაც** გასული წლის ნაშრომს გულდასმით ვაანალიზებთ, წარმატებებს ვაჯამებთ ავწონ-დავწონით და სამომავლო ამოცანებს ვსახავთ, არც ჩავარდნებზე და ნაკლზე ვხუჭავთ თვალს, ამიტომ სააშკარაოზე გამოგვაქვს ის ნაკლოვანებანი, რომლებმაც განვლილი დროის მანძილზე იჩინა თავი.

ამ განწყობილებით მუშაობენ და მოქმედებენ დუშეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები, კომუნისტები, ხელმძღვანელებიც და რიგითებიც.

დუშეთის რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების პირველად პარტიულ ორგანიზაციაში 32 კომუნისტია გაერთიანებული. მთავარი მარტო ეს როდია. საქმე ის არის თუ როგორ არიან განაწილებული კომუნისტები მართლწესრიგის დაცვის ამა თუ იმ უბანზე, რას და როგორ საქმიანობენ. სწორედ ისინი აძლევენ უპარტიოებს ტონს მუშაობაში.

დუშეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმართული იყო კომუნისტების პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მათი როლის ამაღლებისაკენ, რათა გაეუმჯობესებინათ განყოფილების საერთო საქმიანობა ძირში აღმოეფხვრათ დანაშაულობები და სამართალდარღვევის ყოველი ფაქტი.

პარტიული ბიურო მუშაობდა წინასწარ შედგენილი ყოველთვიური სამუშაო გეგმის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის გეგმის შესაბამისად ვერ ვატარებდით პარტბიუროს სხდომებს, რაც მიგვაჩნია ერთ-ერთ დიდ ნაკლად ჩვენს მუშაობაში.

პარტბიუროს სხდომებზე განხილულია მრავალი მტკივნეული და აქტუალური საკითხი, რომელთა ირგვლივ იმართებოდა ცხარე კამათი და ვღებულობდით კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. ხდებოდა მისი განხორციელების სათანადო კონტროლი.

უნდა აღინიშნოს ის ნაკლოვანი მხარე, რომელიც ჩვენს პარტიულ კრებებს ახასიათებდა.

თვითკრიტიკით უნდა ითქვას, რომ კრებაზე განხილული გვაქვს უფრო მეტი რეკომენდირებული საკითხები, ვიდრე ისეთი საკითხები რომელიც ეხებოდა რაიგანყოფილების ყოველდღიურ საქმიანობას. კრებაზე განხილულ საკითხებზე ვღებულობდით კონკრეტულ დადგენილებას, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ვერ ვაწესებდით სათანადო კონტროლს მათ შესრულებაზე და დადგენილება ხშირად ქაღალდზე გვრჩებოდა.

პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობდა კომუნისტების ანგარიშების მოსმენას და პარტიული დახასიათების დამტკიცებას.

პარტბიუროს სხდომებზე განვიხილავდით მრავალ საკითხს, რომელიც კომუნისტებს შორის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას ეხებოდა. განვიხილეთ სკკპ წევრების, უბნის ინსპექტორების ა. ჯანგირაშვილისა და ვ. ხულუზაურის ანგარიშები ცეცხლმსროლელი იარაღის ამოღებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ; რედკოლეგიის მუშაობის განხილვისას აღინიშნა, რომ კედლის გაზეთი სისტემატიურად არ გამოდიოდა და სხვ.

პარტიული ორგანიზაციის მომავალშიც კომუნისტური პრინციპულობით შეაფასებს განყოფილების კომუნისტთა მუშაობას.

**გ. ჭინჭარაძე,**
**დუშეთის შს რაიგანყოფილების პარტორგანიზაციის მდივანი, მილიციის ლეიტენანტი.**

# ხანძრისათვის — სისხლის სამართლის პასუხისგებაში

**(დასასრული).**

**ხანძრო მეთვალყურეობის მუშაკების, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის, საგამომძიებლო ორგანოების ბრალით, რომლებიც ჯეროვან პრინციპულობას არ იჩენენ ამ საქმეში, ჩვენს რესპუბლიკაში პრაქტიკულად არ იყენებენ სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლს. 1985 წელს იმ მასალებიდან, რომლებიც სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის ორგანოებმა გაგზავნეს რესპუბლიკის პროკურატურაში, მხოლოდ ზოგიერთის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამავე დროს სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდა 6845 თანამდებობის პირი, პროკურატურის ორგანოებში გაიგზავნა მასალები რამდენიმე თანამდებობის პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემისათვის, რომლებიც ბოროტად არღვევდნენ სახანძრო უსაფრთხოების წესებს, ხანძარსაშიში სიტუაციის გამო დროებით შეჩერებულია 367 ობიექტის მუშაობა.**

**რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში გარკვეული სიძნელეებია სახანძრო დაცვისათვის კადრების შერჩევაში. მოხარული ვიქნებით, თუ პარტიის რაიონული კომიტეტები, აღმასკომები, საწარმოებისა და დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები გამოეხმაურებიან ჩვენს თხოვნას და უფრო ქმედითს მონაწილეობას მიიღებენ ღირსეული შევსებით სახანძრო დაცვის სამსახურის დაკომპლექტებაში. სასურველია, რომ პრაქტიკაში დაინერგოს „ცეცხლოვანი“ პროფესიის ადამიანების შესახებ ტელენარკვევების ჩვენება, რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ჩანახატების დაბეჭდვა.**

**უახლოეს დროში სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის სამსახურის მუშაკები კვლავ შეამოწმებენ სახალხო მეურნეობის ცალკეული ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობას; განვახორციელებთ ზემოქმედების ყველაზე მკაცრ ღონისძიებებს, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ სახალხო მეურნეობის ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანაა.**

**(იბეჭდება შემოკლებით).**

# მუდამ შემართებით

**სადგურ** ქუთაისის შს ქვეგანყოფილება თავისი მუშაობის სპეციფიურობის მიხედვით ერთ-ერთი რთული უბანია ამიერკავკასიის რკინიგზაზე. ამ სირთულეს განაპირობებს მთელი რიგი ფაქტორები, რომელთაგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ მისი ყველა სამომსახურეო სადგური წარმოადგენს სარკინიგზო ჩიხს, სადაც ხდება სხვა შინაგან საქმეთა დანაყოფების ტერიტორიაზე კომერციულად დაზიანებული ვაგონების ჩაბარება. განყოფილება ემსახურება რკინიგზის ცენტრალურ მაგისტრალს თითქმის 30 კილომეტრ მანძილზე.

ქვეგანყოფილების მომსახურების სფეროში შედის საკავშირო მნიშვნელობის კურორტ წყალტუბოს სარკინიგზო სადგური. სადაც დამსვენებლები ჩამოდიან ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან; აგრეთვე მთელს კავშირში ერთ-ერთი ყველაზე რთული რელიეფის მქონე ქუთაის-ტყიბულის გადასარბენი.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი სიძნელეებისა, ქვეგანყოფილების მუშაკები წარმატებით ართმევენ თავს მათ წინაშე დასახულ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანას, ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რათა სრული წესრიგი სუფევდეს მათ სამოქმედო ტერიტორიაზე.

ქვეგანყოფილება ოთხი წელია ზედიზედ ფლობს რესპუბლიკურ გარდამავალ წითელ დროშას, რაც მან დაიმსახურა ტრანსპორტზე შინაგან საქმეთა დანაყოფებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ქვეგანყოფილების მუშაკთა ენერგიული მოქმედებით ამ ბოლო ხანს გამოვლენილია სამართალდარღვევის მრავალი ფაქტი, რომელთაგან მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ, ერთ შემთხვევაზე.

გასული წლის 23 მარტს სადგურ ქუთაის — მეორეში „მოსკოვ-წყალტუბოს“ მატარებელი ჩამოდგა. მილიციის მუშაკები ერთ-ერთი მგზავრის მოქმედებამ დააეჭვა, იგი საგულდაგულოდ ზვერავდა გარემოს. წესრიგის დამცველები კვალში ჩაუდგნენ უცნაურ სტუმარს და ბოლოს კიდევაც დააკავეს იგი.

საეჭვო მგზავრი აღმოჩნდა მოსკოვის სალარავი ქარხნის უფროსი ინჟინერი ა. არნაშოვი, რომელსაც დედაქალაქიდან ქუთაისში სასპეკულაციოდ ჩამოეტანა ქარხნიდან დატაცებული 740 ცალი საზეინკლო ინსტრუმენტების კომპლექტი, რომელთა საერთო ღირებულება 7770 მანეთს აღემატებოდა. მილიციის მუშაკთა საზრიანი მოქმედების წყალობით მან ვერ შეძლო დატაცებული საქონლის რეალიზაცია. ქვეგანყოფილებიდან მოსკოვში სასწრაფოდ იქნა მივლინებული უფროსი გამომძიებელი ზ. ბუცხრიკიძე, რომელმაც დასახელებულ საწარმოში გამოავლინა სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა ორგნიზებული — ჯგუფი, რომელთანაც მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდა ა. არნაშოვი.

ქვეგანყოფილების მთელი შემადგენლობა მუდამ შემართებით, ერთსულოვნად და მობილიზებულად იბრძვის ყოველგვარი დანაშაულის წინააღმდეგ. ის აქტიური პოზიცია გამოიკვეთა ამას წინათ ჩატარებულ პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების, ვაჭრო და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე გ. ამირანაშვილი. კრებაზე მოურიდებლად, პრინციპულად ამხილეს ქვეგანყოფილების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი. ამასთან დასახეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ამოცანები, გზები და პერსპექტივები.

**მ. შენგელია,**
**სადგურ ქუთაისის შს ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.**

**საინტერესო** ბიოგრაფია აქვს ლერი გოგნაძეს, რომელმაც შინაგან საქმეთა ორგანოებში შრომითი საქმიანობა მილიციის ორწლიანი სკოლის წარჩინებით და-



# კეთილსინდისიერებით

მთავრების შემდეგ დაიწყო. 1961 წლიდან იგი მუშაობს თბილისის კალინის რაიონის შს განყოფილების უბნის ინსპექტორად, პარალელურად ცოდნის დონის ასამაღლებლად სწავლა განაგრძო სსრკ შს სამინისტროს მილიციის დაუსწრებელ უმაღლეს სკოლაში, რომელიც 1969 წელს დაამთავრა.

1976 წლიდან მუშაობს ლენინის რაიონის შს განყოფილებაში უბნის ინსპექტორად, სხვადასხვა უბანში, ხოლო შემდეგ უბნის უფროს ინსპექტორად.

მოწინავე და გამოცდილი მუშაკი, კომუნისტი ლ. გოგნაძე 1975 წელს მონაწილეობდა მოსკოვში, საკავშირო უბნის ინსპექტორების შეკრებაზე სადაც დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრით.

მილიციის მაიორი ლ. გოგნაძე გამოირჩევა მაღალი ორგანიზებულობით, კარგი დისციპლინით დაკისრებული მოვალეობის დროული და კეთილსინდისიერი შესრულებით. ლ. გოგნაძის მიერ დაკავებულია საკავშირო ძებნილი, მძარცველები და შეიარაღებული გამომძალველები. მის მიერ მიღებული მუქთახორა იქნა ჩაბმული სასარგებლო შრომით საქმიანობაში.

1980 წელს მილიციის მაიორმა ლ. გოგნაძემ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მადლობა მიიღო.

შინაგან საქმეთა ორგანოებში 24 წლის სამსახურის მანძილზე მას მიღებული აქვს 30 მადლობა.

ლ. გოგნაძე ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, არის პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე, მონაწილეობას ღებულობს შინაგან საქმეთა განყოფილების სპორტულ ცხოვრებაში.

**თ. ხაბულიანი.**

## განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება

# უფლებას ბოროტად იყენებდა

...**ვინ** არ იცის დიდი პოეტის სიტყვები — „მე მიცავს ჩემი მილიცია!“

რა სითბო და სიამაყეა ჩაქსოვილი ამ სიტყვებში — საბჭოთა მილიცია ხომ იმთავითვე ჩადგა ქვეყნის, ხალხის სამსახურში, და მას შემდეგ პირნათლად დგას კანონიერების სადარაჯოზე! სამწუხაროდ, ზოგჯერ შუქს ჩრდილიც ახლავს.

სოხუმის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სამედიცინო გამოსაფხიზლებელი სპეციფიკური დაწესებულებაა, რომელიც მოწოდებულია შეუნელებლად იბრძოლოს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ.

რამდენიმე ხნის წინათ აღმაშფოთებელი, ფაქტი მოხდა აღნიშნულ სამედიცინო გამოსაფხიზლებელში.

...ვორონეჟელმა ა. პლატონოვმა შვებულება ჩვენს მხარეში გაატარა და აი, დადგა შინ გამგზავრების დღეც. მას აცილებდა მისი მეგობარი ე. ტიტოვი. აეროპორტში მისვლის წინ მათ ცოტაოდენი არაყი შეუსვამთ. თვითმფრინავის გასვლას ცოტაღა აკლდა, როცა ა. პლატონოვმა შეამჩნია. რომ საფულე, რომელშიც პასპორტი, ავიაბილეთი და ფული ედო, — დაჰკარგოდა. სპგონებელში ჩავარდნილმა ა. პლატონოვმა აეროპორტის ადმინიტრაციას მიმართა, ე. ტიტოვი კი მას სახაზო მილიციის შენობასთან უცდიდა. ეს უკანასკნელი შეამჩნია მილიციის თანამშრომელმა გ. რატიანმა. შეიყვანა ე. ტიტოვი სახაზო მილიციის განყოფილების სამორიგეოში, გაჩხრიკა იგი და შეადგინა ოქმი.

...როგორც სამსახურეობრივმა გამოძიებამ დაადგინა, — ე. ტიტოვს მშვიდად ეჭირა თავი, დინჯად პასუხობდა შეკითხვებზე, წესრიგი არ დაურღვევია.

თავის სიმართლეში დარწმუნებულმა, მან თხოვა გ. რატიანს — გამიშვით ტურბაზაში, იქ ხომ ჩემი არასრულწლოვანი შვილი მელოდება. განა ვერ ხედავთ, რომ არა ვარ მთვრალი, ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩემს მეგობარს ვუცდით.

მაგრამ... დილის ოთხი საათი იყო, როცა ე. ტიტოვი მიიყვანეს სამედიცინო გამოსაფხიზლებელში.

გამოსაფხიზლებელში მორიგეობდა რიგითი მილიციელი ბ. ფიფია, მასთან ერთად იყვნენ ფერშალი გ. აბულაძე და მედდა ლ. სამოილოვა.

...შემდგომი ძიების დროს სოხუმის აეროპორტის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების მუშაკმა გ. მუშკუდიანმა, სამედიცინო გამოსაფხიზლებლის მედდამ ლ. სამოილოვამ დაადასტურეს, რომ ე. ტიტოვი არ ტოვებდა არაფხიზელი ადამიანის შთაბეჭდილებას, და შეიძლებოდა მისი შინ გაშვებაო.. ვიმეორებთ, ეს სიმართლე მათ შემდგომი ძიების დროს თქვეს. მანამდე კი, უფრო ზუსტად, 1985 წლის 6 აგვისტოს იმ დილით, „საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი ე. ტიტოვი“ (ასე დაახასიათა იგი წერილობით გ. მუშკუდიანმა) გ. აბულაძის „გასინჯვის“ შემდეგ „საშუალო ხარისხის“ მთვრალად მონათლეს და ლ. სამოილოვას განკარგულებისამებრ პალატაში უნდა მოეთავსებინათ.

ე. ტიტოვი მათ არ დაემორჩილა და მაშინ „მუნდირის ღირსების“ დამცველმა მილიციელმა ბ. ფიფიამ ე. ტიტოვს ხელები გადაუგრიხა, გ. აბულაძემ კი ტანთ გახდა დაუწყო. ცხადია — ძალით!

დაგვეთანხმებით, რომ ასე მხოლოდ მოძალადე ყაჩაღები თუ იქცევიან!

უფრო მეტიც — „აზარტში“ შესულმა ბ. ფიფიამ მუხლით დენჯერში ძლიერი დარტყმა მიაყენა ე. ტიტოვს მუცლის არეში. რამაც სიცოცხლისათვის საშიში ჯანმრთელობის გართულება გამოიწვია. ბარაქალა ქ. სოხუმის პირველი საავადმყოფოს დასტაქრებს, მათ იხსნეს სიკვდილისაგან ე. ტიტოვი.

ის, რაც ბ. ფიფიამ მოიმოქმედა, ლოგიკური გაგრძელებაა მის მიერ ადრე ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულისა, რისთვისაც მას პასუხი არ მოსთხოვეს.

ეს იყო 1983 წლის 2 მარტს. მაშინაც ქ. სოხუმის სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მუშაობდა ბ. ფიფია. ამ დღეს იგი სპეცავტომანქანის საჭეს უჯდა. ერთ-ერთმა მოქალაქემ გაუფრთხილებლობით გადაკვეთა თარხნიშვილის ქუჩა სწორედ იმ დროს, როცა მანქანაში ბ. ფიფია იჯდა. განრისხდა „წესრიგის დამცველი“ — გააჩერა მანქანა, დაეწია იმ მოქალაქეს და, გონების დაკარგვამდე სცემა მას, მაგრამ ახლოს მყოფმა უცნობმა ადამიანებმა გამოსტაცეს იგი გაბოროტებულ ბ. ფიფიას და დახმარება აღმოუჩინეს.

დაუსჯელობამ კი მეორე დანაშაული ჩაადენინა, ამჯერად — უფრო მძიმე.

...ახლახან აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განიხილა სოხუმის სახალხო სასამართლომ და ფიფიას მიუსაჯა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, დაზარალებულ ე. ტიტოვისათვის 325 მანეთის გადახდით.

მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი დაედო ამ „საგმირო“ საქმის სხვა მონაწილეებსაც.

**შ. ძიძიგური.**
**სოხუმის პროკურორის თანაშემწე.**
**ნ. მიქაძე.**

ВЫПУСК № 1
1986 ГОД

# «ДРУЖИННИК»

# «НАРОДНЫЕ ДРУЖИНЫ»

В номере «Правды» от 22 декабря 1985 года помещена передовая статья под заголовком «Народные дружины». В ней отмечена роль народных дружинников в укреплении правопорядка, важность результатов, которые приносит их работа. Говорится о том, насколько укрепляется режим законности во всех сферах жизни общества благодаря дружинам: «В тысячах населенных пунктов в течении ряда лет не совершается серьезных правонарушений. Во многом это достигнуто благодаря хорошей постановке профилактической работы дружин, индивидуальному подходу к тем, кто склонен пренебрегать нормами социалистического общежития». Среди тех, кто целеустремленно действует в этом направлении, в статье названы наряду с дружинниками ряда городов и сел РСФСР и Украины, дружины, функционирующие в Грузинской ССР.

«Советские люди заинтересованно участвуют в работе, направленной на укрепление порядка», — говорится в передовой. Однако, как свидетельствует почта «Правды», активность трудящихся не всегда встречает должную поддержку. Некоторые мероприятия народных дружин проводятся подчас формально для отметки в отчете. Иногда дружинники проходят мимо правонарушений, срывают или прекращают дежурства раньше установленных сроков. В ряде районов Киргизии, Амурской области местные партийные и советские органы, профсоюзные и комсомольские комитеты не вникают глубоко в работу дружин, оперативных отрядов, слабо заботятся об укреплении их рядов. Называются в статье и другие примеры, препятствующие нормальной организации работы дружин. И хотя Грузинская ССР нигде не названа в качестве отрицательного примера, все эти замечания в полной мере касаются и, конечно, беспокоят правоохранительные органы нашей республики. Особенно это касается работы дружинников в сельской местности, о чем также упоминается в статье «Правды».

Наряду с успехами и негативными явлениями в этой сфере, в статье говорится и о том, что необходимо для полноценной деятельности дружин. Вот одно из важнейших условий: «Наступление против негативных явлений народные дружины и милиция ведут планомерно, согласованно, информируя друг друга о положении дел на закрепленной территории. Такое сотрудничество повышает взаимную ответственность, строже соблюдаются социалистическая законность, защита государственных интересов, прав личности». Важная составная часть работы народных дружин — охрана социалистической собственности. Как отмечено в статье «Правды», активисты могут, в частности, внести весомый вклад в дело экономии сырья, материалов, нефтепродуктов. Особенно это актуально для села.

Местные партийные, советские, профсоюзные и комсомольские органы, как правило, проводят смотры народных дружин, оперативных отрядов. В печати, по радио и телевидению должен найти широкое освещение положительный опыт работы стражей порядка. Вместе с тем, важно проанализировать и причины слабой отдачи отдельных формирований. Особое внимание, говорится в передовой, следует уделять идейно-политическому, нравственному и правовому воспитанию защитников правопорядка, пополнению их рядов коммунистами и комсомольцами.

Организующими центрами работы дружин по месту жительства населения являются общественные пункты охраны порядка. В статье приводятся примеры таких пунктов, где широко используются права, которые предоставлены Законом о трудовых коллективах, в частности, для борьбы с пьянством. Неукоснительно выдерживается требование закона: не скрывать нарушителей, не потакать им, а всех до единого ставить перед лицом товарищей. В итоге резко сократилось количество прогулов и опозданий на работу, число задержанных под хмельком, поутихли хулиганы.

Напоследок хочется привести окончание правдинской передовой: «Направляя лучших своих представителей в добровольные дружины, трудовые коллективы оказывают им огромное доверие, поручают важный участок общественной работы. Их обязанность — оправдать это доверие, быть принципиальными поборниками образцовой производственной и общественной дисциплины, утверждать высокую культуру быта, трезвый образ жизни».

**Служба охраны общественного порядка наряду с другими задачами, выполняет функции обеспечения общественного порядка и борьбы с преступностью на улицах, в парках, траспортных магистралях, вокзалах.**

**О том, какая проводится работа в целях повышения эффективности службы охраны общественного порядка в борьбе с преступностью мы попросили рассказать начальника Управления охраны общественного порядка МВД Грузинской ССР полковника в/с БИЧАШВИЛИ Г. В.**



**— Георгий Владимирович, расскажите, какими успехами завершает управление одиннадцатую пятилетку?**

# ГОРОДУ — ОБРАЗЦОВЫЙ ПОРЯДОК

— Так уж повелось, что подводя итоги работы, мы оглядываемся назад, анализируем нашу работу, выявляем недостатки, намечаем пути их устранения, совершенствования стиля и методов работы.

Хочется отметить, что УООП МВД ГССР пятилетку заканчивает неплохими показателями. Обращусь к статистике: удельный вес уличной преступности в 1985 году по сравнению с начальным периодом пятилетки значительно сократился. Сократились такие виды преступлений, совершенных на улицах и общественных местах, как умышленные убийства, изнасилования, разбои, грабежи, кражи личного имущества граждан, преступления на почве пьянства. Улучшилось взаимодействие органов внутренних дел с паспортными службами, участковыми инспекторами милиции в борьбе с преступностью и охраной общественного порядка.

Однако статистика тогда хороша, когда общественное мнение поддерживает ее. А это не всегда у нас бывает. Отдельные просчеты наших сотрудников, упущения, а порою безразличие (удивительно, откуда оно берется), к сожалению, сводит к нулю всю нашу работу.

Приведу свежий пример.

Трое пьяных парней в ресторане «Арагви» решили снова продолжить застолье. Выпили и подняли дебош: не хотели расплачиваться за стол. Подошедшие сотрудники милиции из подразделения патрульно - постовой службы заставили их рассчитаться за стол. Довольные тем, что деньги были заплачены, сотрудники милиции, выпроводив их из ресторана, ушли, так и оставив парней на произвол судьбы. Вскоре выяснилось, что выйдя из ресторана, парни подняли драку между собой, в которой один был убит, а другой ранен. Трагического конца можно было бы избежать, не прояви милиционеры безразличие... Не произошло бы этого, прояви сотрудники милиции элементарное знание и понимание своего служебного долга... Ведь ни одному из них и в голову не пришло, что их надо было просто-напросто «спроводить» в медвытрезвитель...

**— Какие недостатки и проблемы имеются в вашей службе и как вы стараетесь их решать?**

— Несмотря на то, что работа у нас проводится большая, недостатки, упущения, нерешенные проблемы все же имеются. Об этом хорошо известно нам и мы стараемся решить их.

Вот некоторые из них.

Все еще недостаточна эффективность патрульно - постовой службы в предупреждении правонарушений. Требует улучшения взаимодействие на участках между нарядами всех отраслевых служб в деле борьбы с преступностью, особенно с грабежами, разбоями. Эти задачи должны решить путем дальнейшего распространения и усовершенствования опыта комплексного использования сил и средств милиции по опыту г. Дзержинска и внедренному в Глданском и Заводском районах г. Тбилиси.

Есть недостатки в организации борьбы с бродяжничеством. В некоторых районах все еще встречаются факты длительного проживания бродяг у отдельных граждан, и даже работы по «частному» найму, и они вовремя не пресекаются. Хотя это не дело, которое требует особых усилий, особых затрат, так как не происходит в условиях неочевидности, а наоборот, совершается средь бела дня, у всех на виду, в том числе участковых инспекторов милиции, администрации сельсоветов, актива общественности, которые даже сами часто используют их в личном хозяйстве, что позорит лицо нашей республики. Работу с бродяжничеством надо усилить в РОВД им. 26 комиссаров г. Тбилиси, в Зугдидском, Махарадзевском районах, в районах Абхазии. Мы планируем ряд мероприятий по улучшению взаимодействия органов внутренних дел с исполкомами, сельсоветами, участковыми инспекторами милиции, паспортными аппаратами в борьбе с такими фактами. Необходимо каждый случай предавать широкой гласности, выносить на суд общественности, чтобы создать обстановку непримиримости и нетерпимости к таким явлениям.

Анализ показывает, что основное количество преступлений, убийства в общественных местах и на улицах совершаются на почве неприязненных отношений и бытовых конфликтов.

Охрана общественноого порядка, установление в городе образцового порядка зависит не только от сотрудников милиции. В этом деле нам должны оказать помощь народные дружинники, ОКОД, вся общественность.

Порядок везде и во всем — забота общая. Из этого и нужно исходить в борьбе со всякого рода отклонениями от норм нашей морали.

**Беседу записала**

**А. СААКАДЗЕ.**

Когда на город опускаются сумерки, выходят на улицы люди в красных повязках. Это — дружинники, всегда готовые прийти на помощь. На счету многих из них доставленные в милицию хулиганы, спекулянты, те кто мешает нам спокойно жить. А бывают случаи, когда от дружинника требуется немало мужества, чтобы пресечь хулигана...

**НА СНИМКЕ:** **дружинники на дежурстве.**

Фото **С. Сычева.**



# В ЗАПИСНУЮ КНИЖКУ ДРУЖИННИКА

**МЫ БУДЕМ СИСТЕМАТИЧЕСКИ ДАВАТЬ ВЫДЕРЖКИ ИЗ «ПОЛОЖЕНИЯ О НАРОДНЫХ ДРУЖИННИКАХ».**

Президиум Верховного Совета СССР постановляет:

Установить, что противодействие законной деятельности работников милиции и народных дружинников наказывается: злостное неповиновение законному распоряжению или требованию работников милиции и народного дружинника при исполнении ими своих обязанностей по охране общественного порядка арестом на срок до пятнадцати суток, или исправительными работами на срок до одного месяца, или штрафом до двадцати рублей — по постановлению народного судьи.

* * *

**Нагрудным знаком «Отличный дружинник»** награждаются члены добровольных народных дружин, особо отличившиеся в охране общественного порядка и борьбе с преступностью.

Награждение нагрудным знаком «Отличный дружинник» производится Советами Министров автономных республик, исполнительными комитетами краевых, областных, Московского и Ленинградского городских Советов депутатов трудящихся по представлениям исполнительских комитетов районных и городских Советов депутатов трудящихся.

Лицам, награжденным нагрудным знаком «Отличный дружинник», выдается нагрудный знак установленного образца и выписка из решения о награждении.

Нагрудный знак «Отличный дружинник» носится на правой стороне груди.

Лишение нагрудного знака «Отличный дружинник» может быть произведено только Советами Министров автономных республик, исполнительными комитетами краевых, областных, Московского и Ленинградского городских Советов депутатов трудящихся.

მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა თუ არა, შოთა ჯაფარიძე მანქანიდან მაშინვე გადმოვიდა სერჟანტმა თიგიშვილმაც სწრაფად გამოაღო კარი და ხანამ გათოშილი ფეხებით მიწას შეეხებოდა, ხმამაღლა თქვა:

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, მანქანა აქ დავტოვოთ, ცოტა ფეხით გავლა მოგვიწევს.

ჯაფარიძე შეჩერდა, დაელოდა მანქანიდან სხვების გადმოსვლას და როცა ჯგუფის ყველა წევრი მის გვერდით დაიგულა, მხოლოდ მაშინ დაიძრა მბჟუტავი ხელფარნის მიმართულებით. ყველაზე ახლოს სერჟანტი თიგიშვილი მისდევდა.

სერჟანტმა ჯერ ექსპერტს ახედა, მერე ექიმისაკენაც გაიხედა და ფრთხილად შეეხო გაყინულ ლაბადას. ჯაფარიძე ისევ კირთაძეს მიუბრუნდა.

— ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო, ერთი ეს მითხარით პირველი მდგომარეობა შენარჩუნებულია?

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, შემთხვევის ადგილის პირველი მდგომარეობა ჩემის აზრით მთლიანად შენარჩუნებულია.

— კვალი, კვალის საქმე როგორ არის?

— დაზარალებულთან პირველი მე მოვედი. შემდეგ მოვიდნენ რაიონული განყოფილებიდან. ისინი ახლომახლოს დგანან. მგონი კვალის შენარჩუნებაც შევძელით.

— გასაგებია, — თქვა ჯაფარიძემ და ახლა ექიმს მიუბრუნდა.

— თქვენთან როგორაა საქმე, ექიმო?

— ცუდად. პულსი ჯერ კიდევ უცემს, მაგრამ ძლივსძლივობით. ალბათ სასწრაფო ოპერაცია დასჭირდება.

— თქვენს საქმეს რომ მორჩებით, დაჭრილი ჩვენი მანქანისაკენ წაიყვანეთ. აქ მდგომარეობა უკვე ნათელია. სასწრაფო დახმარების მანქანა კი აქამდე ვერ მოვა.

ექიმს არ უპასუხნია, მხოლოდ თავი დაიქნია, ის ახლა ჭრილობას სპირტით ასუფთავებდა.

ჯაფარიძე კირთაძეს მიუბრუნდა.

— მანქანის კვალი კარგად არის გამოკვეთილი?

— ნათლად. ფეხის კვალიც მშვენივრად ჩანს.

— ხომ არ გეშლებათ?

— რას ამბობთ, გულდაგულ გავსინჯე.

— ჰო ძალიან კარგი. ჯაფარიძე ახლა ფოტოგრაფს მიუბრუნდა.

— თქვენ რა ჰქენით. ყველა პოზიციიდან გადაუღეთ დაზარალებულს?

— რასაკვირველია, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო.

კუნაპეტ ღამეში ელექტროფანრებისა და რეფლექტორების შუქზე ფარაჯიანი კაცები ხეებს შორის ფრთხილად დააბიჯებდნენ. ოპერატიულმა ჯგუფმა გულდაგულ გასინჯა ფეხისა და მანქანის საბურავების პროტექტორების კვალი. აიღეს თაბაშირის ტვიფარი. ფოტოგრაფმა მერამდენედ, ყველა წერტილიდან გადაიღო შემთხვევის ადგილი და დაზარალებულის მდგომარეობა.

დაჭრილი კაცი ყინულივით ცივ ლაბადაზე იწვა. კოხტად შეკრეჭილი თბილი, მოდური პალტო ეცვა, თმებზე თოვლის ფანტელები შეჰყინვოდა და ასე ფიქრებდით ნაადრევი ჭაღარა გარეოდა. ისეთი მშვიდი და წყნარი სახე ჰქონდა, იფიქრებდით, ღრმა, ტკბილი ძილით სძინავსო.

# მზე ისევ გამოანათებს

**ზაალ მესხიშვილი**

სერჟანტი ცდილობდა როგორმე წამოწეოდა პოდპოლკოვნიკს, — მაგრამ ჯაფარიძე ისე გრძელ ნაბიჯებს ადგამდა, თიგიშვილი ამას ვერა და ვერ ახერხებდა.

ჯაფარიძემ ხელფანრით პატარა ბილიკი გაანათა და იქვე მდგომ მილიციის მუშაკს მიმართა:

— უმცროსი ლეიტენანტი კირთაძე ხართ?

— დიახ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, მე გახლავართ. კირთაძეს რაღაც ყრუ, გაგუდული ხმა ჰქონდა, ბგერებსაც ნათლად და მკვეთრად ვერ გამოთქვამდა. ჯაფარიძე მიხვდა, რომ ყინვას თავისი საქმე უკვე მოესწრო, კირთაძეც გვარიანად გაეთოშა.

— სად არის დაზარალებული?

— აქვეა, — კირთაძემ ფანრის შუქით მიწაზე გაშხლართული კაცი მოძებნა. ის კაცი ხაკისფერ წყალგაუვალ განიერ მაზარაში იყო გახვეული და სახეზეც რაღაც ქსოვილი ეფარა. ეს ლაბადა უმცროსი ლეიტენანტის სამსახურებრივი ლაბადა იყო.

— როგორ არის?

— ძალიან მძიმედ, პირველი დახმარება აღმოვუჩინე. ჯაფარიძე შემობრუნდა. ხელფანრით ჯგუფის წევრებს ჩამოუარა: მერე ერთერთი მათგანი იპოვა, მაღალი, მოსული კაცი, თავზე ყურებიანი თბილი ქუდი რომ ეხურა და მარჯვენა ხელში დიდი ნაცრისფერი ხის მოზრდილი ჩემოდანი ეკავა.

— ექიმო, შეუდექით თქვენს საქმეს. მალე სასწრაფოც გამოცხადდება და დაზარალებული საავადმყოფოში გადავიყვანოთ.

ექიმმა ნაცრისფერი ჩემოდანი მიწაზე სწორედ მწოლარე კაცის გვერდით სასწრაფოდ დადო, მერე ჩაიმუხლა, ჩემოდანი ფაციფუცით გახსნა და სერჟანტს მიმართა:

— სერჟანტო მომეხმარეთ, ჯერ ეს ლაბადა გაუხსენით, მერე მომინათეთ. სერჟანტმა ხელებზე დაიორთქლა და მანაც ჩაიმუხლა.

სწორედ ამ დროს ექსპერტის ვახტანგ მამულაშვილის ხმაც გაისმა.

— ყურადღებით, ამხანაგებო, აქ პროტექტორების კვალი არ წაიშალოთ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# Интервью по телефону

**дал нашему корреспонденту К. ВАНИДЗЕ, начальник ОБХСС Каспского РОВД майор милиции Т. М. ЧИНЧАЛАДЗЕ.**

— Новый, 1986 год, сотрудники ОБХСС Каспского РОВД встретили неплохими показателями. В прошлом году в районе проделана определенная работа по выявлению спекулянтов, расхитителей собственности. По сравнению с аналогичным периодом 1984 года в 1985 году нашими сотрудниками выявлено больше фактов спекуляции, хищений госимущества, взяточничества.

К сожалению, приходится констатировать тот факт, что у нас еще не перевелись люди, которые не прочь погреть руки не только на государственном добре, но и на несчастных людях.

Какими словами можно осудить Этери П., которая была задержана за спекуляцию дефицитными медикаментами. На квартире у нее были обнаружены также медикаменты, предназначенные для спекуляции. Неужели ее не мучила совесть даже тогда, когда за лекарства, измученные недугом люди, платили ей втридорога. Действия Этери П. пресекли наши сотрудники.

Водитель — экспедитор Каспской автоколонны Георгий А. — тоже любитель нажить деньги легким путем. Он похитил вверенные ему 11 тонн цемента и продал строительный материал жителю села Доэси некоему Д. за 500 рублей. И ему пришлось ответить за спекуляцию перед законом.

Хорошо потрудились сотрудники ОБХСС во время ртвели. К сожалению, некоторые омрачили этот традиционный праздник, но собенно «отличились» сторожа Ксанского совхоза Георгий М. и Шота Г., которые позабыли не только о своем долге, но и о совести. Эти горе-сторожа присвоили себе 480 кг винограда.

В заключение хочется отметить, что сотрудники ОБХСС Каспского РОВД сделают все для того, чтобы у всякого рода взяточников, спекулянтов, расхитителей народного добра, говоря образно, горела земля под ногами.

**Каспский район.**



## მილიციის ფრიადოსანი

**სამუელ** ვენიამინის ძე ისკანდაროვმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობა დაიწყო 1950 წელს, 1955 წლიდან კი სამეურნეო განყოფილებაში მუშაობს მძღოლად. ვეტერანი მუშაკი დაჯილდოებულია მედლებით „შინაგან საქმეთა ორგანოებში უმწიკვლო მუშაობისათვის", მიღებული აქვს „მილიციის ფრიადოსნის", „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის" ნიშანი.

სკკპ წევრი 1958 წლიდან ს. ისკანდაროვი ახალგაზრდა თანამშრომელთა გულისხმიერი დამრიგებელია. განყოფილების მოწინავე მუშაკი სხვა კომუნისტებთან ერთად ახალი წარმატებებით ხვდება სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებს.

**სურათზე:** ს. ისკანდაროვი.

**ს. სიხოვის** ფოტო.

## ყურადღება მიაქციეს...

**თბილისის** ორჯონიკიძის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა მილიციის უფროსმა ლეიტენანტებმა თ. ლომთათიძემ და ვ. მაღლაკელიძემ მორიგეობის დროს, სალამოხანს ი. ჭავჭავაძის გამზირზე ყურადღება მიაქციეს „ჟიგულს". იგი მოძრაობდა ღია საბარგულით, შიგ ეწყო ქაღალდის რამდენიმე შეკვრა, საიდანაც თევზის თავები და ბოლოები მოჩანდა. წესრიგის დამცველები დაინტერესდნენ და მანქანა გააჩერეს, მის მფლობელს ა. კანდელაკიშვილს შეეკითხნენ, „ნადავლი" საიდან მოგაქვსო. შმიდტის ქუჩის № 100 სახლში მომყიდესო, უპასუხა მან. გამოირკვა, რომ მან 158 მანეთად ღირებულ თევზეულში გადაიხადა 675 მანეთი; ქორვაჭარი 517 მანეთს გამორჩა. როდესაც ბინა შეამოწმეს, მასპინძლებს — ვ. თიგიშვილსა და მის ყოფილ მეუღლეს ნ. იდუკაშვილს უპოვეს კიდევ ორი კილოგრამი სასპეკულაციოდ გამიზნული თევზეული. ამის გარდა მიაკვლიეს 200 ცალ მცირეკალიბრიანი, შაშხანის ვაზნებს, რომელსაც ვ. თიგიშვილი უნებართვოდ ინახავდა.

# ИГРА С «ОГНЕМ»

Казалось бы, о каких хищениях может идти речь на ювелирном заводе. Если учесть, с какой точностью должно быть учтено все, что поступает сюда в качестве сырья для изготовления ювелирных украшений и выпускается в виде готовой продукции. Ни грамма золота, серебра, а уж тем более драгоценные камни, никак не могут оказаться потерянными или украденными. Ничто не останется сокрытым: ведь все подлежит подробной отчетности. Однако находятся еще храбрецы, которые пускаются в «смелые» авантюры, как говорится, играют с огнем, что равнозначно махинациям с золотом, принадлежащим государству.

Так, совсем недавно была задержана шлифовщица Тбилисского ювелирного завода, при которой были обнаружены драгоценные камни и готовые ювелирные изделия. Е. Бециашвили уносила их домой явно не для сверхурочной работы на благо родного завода. Итак, имеется в наличии факт хищения социалистической собственности. Но в каких масштабах? Только ли то, что перекочевало со склада в сумочку Бециашвили? Делом этим занялось отделение борьбы с хищениями социалистической собственности Первомайского РОВД г. Тбилиси — оперуполномоченный БХСС капитан милиции Вахтанг Кочорашвили.

В ходе оперативно - следственных мероприятий было выявлено и другое. Женя Бециашвили не просто присвоила себе государственное добро, но стала своего рода организатором целой преступной группы. При изучении бухгалтерских документов обнаружилось, что она по преступному сговору совершила подлог в наряде на взятую для исполнения работу, а конкретно, по этому самому наряду она получила у кладовщицы Н. Мчедлишвили 65 браслетов для шлифовки. Закончив же работу, соответственно ложным документам, сдала всего 9, оставив себе 56!

Затем Бециашвили честно и щедро поделилась добычей со своей сообщницей Мчедлишвили и бухгалтером Э. Махарашвили (от последней зависело то, чтобы украденные браслеты на сумму более двадцати тысяч рублей не вошли в опись). Таким образом, все три работницы Тбилисского ювелирного завода стали соучастницами преступления.

Кстати, в ходе проведения ревизии у кладовщицы Мчедлишвили, была обнаружена крупная недостача, в целом составившая 32.178 рублей, то есть помимо приведенного были и иные случаи махинаций с документами.

Сейчас, когда ряд совершенных на заводе преступлений полностью раскрыт, напрашивается вопрос: как же могли допустить здесь возможность кражи, тем более кражи не фруктов из сада, и даже не изделий ткацкой фабрики, а того, что является достоянием государства, его казной. Единственный ответ на этот вопрос — ослабление контроля со стороны работников вневедомственной охраны, а также бухгалтерского, за производственными документами. Поэтому и отвечать будут все, кто обязан был следить за ними по долгу службы.

**Н. ХОМАСУРИДЗЕ.**

# РАСПЛАТА

Водитель городского управления ТУЭСа Джимшер Маргиев считался большим любителем вино-водочных изделий. Десятого мая прошлого года он, по установившейся традиции, хватил «лишнего», сел в машину и, лихо вырулив, выехал, точнее вылетел на улицу.

В тот злополучный день гражданин Ю. Сапанадзе со своей семьей на личной автомашине ехал к теще, которая всего несколько дней назад похоронила мужа. Только Сапанадзе решил свернуть с Зестафонской улицы на улицу Пятилетки, как неожиданно из-за угла на большой скорости вылетел грузовик. Увидев «Жигули», водитель грузовика резко затормозил, однако он все же задел легковую машину. Нетрудно догадаться, что водителем грузовика был пьяный Д. Маргиев. Вместо того, чтобы побеспокоиться о судьбе находившихся в автомашине, Маргиев подошел к Сапанадзе, который осматривал автомобиль, и, неожиданно ударил его ножом в бок. После этого Маргиев попытался скрыться с места преступления. Но не повезло убийце. Это гнусное убийство увидел проезжавший мимо на такси дежурный — инспектор одного из подразделений города Тбилиси, старший лейтенант милиции Джемал Хоргуашвили. Выскочив из машины, он бросился вдогонку за убегающим преступником, догнал его, обезоружил и доставил в милицию.

Городской суд под председательством И. Табунидзе приговорил убийцу к 15 годам лишения свободы.

Преступник наказан. Однако, к сожалению, закон не задел тех, которые не первый раз видели, как Джимшер Маргиев нетрезвым садился за руль, и абсолютно ничего не сделали для того, чтобы сурово пресечь подобные выходки своего сослуживца. Это убийство на их совести.

**Г. КОРДЗАДЗЕ.**

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 991-41-24. Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
უე 03025